8 და 10 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, XVI ტურის მატჩები.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდები ამ ტურში სტუმრად გამოდიოდნენ: თბილისის დინამოელები – ხარკოვში, ხოლო ქუთაისის ტორპედოელები – დონეცკში. ამ ორ მატჩში ჩვენმა გუნდებმა მხოლოდ ერთი ქულის აღება შეძლეს (დინამოელთა ფრე).

„მეტალისტი“ (ხარკოვი) – „დინამო“ (თბილისი) 1:1 (1:0)

ხარკოვი. „მეტალისტის“ სტადიონი. 8 ივლისი. 12000 მაყურებელი.

მახინია (დუმანსკი, 68 წთ), ლოზინსკი, ვაშჩენკო, ტალკო (სუსლო, 84), ტარასოვი, აჯოევი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, კუდინოვი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, უგრელიძე (ჩელებაძე, 75), ცაავა, მესხი, (გურული, 59).

გააფრთხილეს პანჩიშინი.

მსაჯი ა. კირილოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 0:0.

თამაში ნელ ტემპში დაიწყო, ორივე გუნდის დაცვის ფეხბურთელები აშკარად იოლად ჯაბნიდნენ თავდამსხმელებს. სტუმართაგან ძნელი იყო შეტევის ლიდერის გამორჩევა. „მეტალისტის“ მხრივ კი აქტიური თამაშის შექმნას მხოლოდ ტარასოვი ცდილობდა და სწორედ მან შეძლო პირველი გოლის გატანა. 21-ე წუთზე ლოზინსკის მიერ საჯარიმოდან მოწოდებულ ბურთს მან მიმართულება შეუცვალა – 1:0.

თბილისელმა ფეხბურთელებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს თამაში შესვენების შემდეგ. ახლა ისინი გაცილებით უფრო სწრაფად და ბევრს მოძრაობდნენ. საპასუხო ბურთი ადრევე, ჯერ კიდევ 51–ე წუთზე გაიტანა ჭედიამ, შემდეგ კი დინამოელებმა აშკარად ხელიდან გაუშვეს გამარჯვების მოპოვების რამდენიმე მეტად ხელსაყრელი შესაძლებლობა. მესხმა, უგრელიძემ, ჭედიამ, ჩელებაძემ ვერ შეძლეს ბურთის გატანა ისეთ სიტუაციებში, როცა საჭირო იყო ოდნავ მეტი სიზუსტის ან სისწრაფის გამოჩენა.

თბილისის „დინამო“ ამ მატჩში ფრეს დასჯერდა, თუმცა, აშკარად შეეძლო ორი ქულის აღება. თბილისელებს ახლა 16 განვლილ ტურში 7 მატჩი აქვთ ფრედ დამთავრებული. ლიმიტამდე კი, როგორც იცით, სამი ფრეა დარჩენილი...

ლელო 12.07.1986